

ახალი უმაღლესი სასწავლებელი



NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება

კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

უმაღლესი განათლების საფეხური: I საფეხური, ბაკალავრიატი

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება - 02

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
(Bachelor of Business Administration)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამის ხელმძღვანელი: მანანა ნანიტაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: წინამდებარე პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად (მუხლი 52, პუნქტი 3):

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად: „სასწავლებელში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, სასწავლებელში გაიაროს გასაუბრება და წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დონის (მინიმუმ B2) დამადასტურებელი სერტიფიკატი¹, გაცემული სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს² მიერ; გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლებელი.

¹ ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ტესტირების საფასურის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სასწავლებელი;

² საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა ენობრივი კომპეტენციის შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) გათვალისწინებით, ადგენს ქართული ენის ცოდნის დონეს და განკუთვნილია მათთვის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა.

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი - არასპეციალობის/საერთო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“), თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება:

- სავალდებულო ნაწილი **187 კრედიტი (40 კრედიტი** - არასპეციალობის კომპონენტი: **10** კრედიტი საკომუნიკაციო კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის სასწავლო კურსები და **30** კრედიტი ინგლისური ენის კომპონენტი; **147** კრედიტი - სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის: **137** კრედიტი სასწავლო კურსები, 10 კრედიტი პრაქტიკა)
- არჩევითი ნაწილი **53** კრედიტი (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის არჩევითი და საერთო არჩევითი (არასპეციალობის არჩევითი) სასწავლო კურსები, სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“).

დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, ტრანსფერულ კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის/საერთო არჩევითი სასწავლო კურსებისა და/ან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების („თავისუფალი კრედიტების“) კონცენტრაციით სტუდენტს შეუძლია თავისთვის სასურველი ინდივიდუალური პროფილის ფორმირება – კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული არასპეციალობის და სპეციალობის სავალდებულო კომპონენტების და სწავლის პერიოდში სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების აკადემიური ხარისხი - ერთობლიობას. კვალიფიკაცია „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ - ენიჭება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად.

- ✓ საერთო სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია წერიტი და ვერბალური კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიებაგადაცემის მიზნით საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენების უნარის გამომუშავებაზე;
- ✓ ინგლისური ენის კომპონენტი (30 კრედიტი) ორიენტირებულია უცხოური, კერძოდ ინგლისური ენის სწავლების უზრუნველყოფაზე და მშობლიურ ენასთან ერთად კიდევ ერთ, საერთაშორისო ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე სპეციალობისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. ინგლისურენოვანი უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე;
- ✓ საერთო არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი (5 კრედიტი) ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების პროცესის სტიმულირებაზე, აბსტრაქტული, ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების სტიმულირებაზე, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარის განვითარებაზე;
- ✓ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (137 კრედიტი) ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, შექმნილი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე;
- ✓ სპეციალობის სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება;

- ✓ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (48 კრედიტი) ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შექმნილი ფართო ცოდნის სტუდენტის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებაზე.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში (დანართი 1).

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თავისუფალი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, შესაბამისი სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის გათვალისწინებით.

შენიშვნა: თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის, ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა 4 დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის მიზანი:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ისეთი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ და უმალესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით გათვალისწინებულ ბაკალავრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, იცნობენ მართვის ძირითად პრინციპებს და მეთოდებს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებს, შეუძლიათ ბიზნეს-სექტორში პირადი ინიციატივების გამოვლენა, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კომპლექსური საკითხების შემოქმედებითად გადაწყვეტა, ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური აღქმა, სწრაფი ადაპტირება, პრაქტიკულ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების რეალიზება, კარიერული წინსვლა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება, წვლილის შეტანა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და მულტიკულტურულ გარემოში ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დაცვა.

სწავლის შედეგები:

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმალესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმალესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლების შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების) მიღწევას, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება	აღწერს მართვის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებს; აკავშირებს ბიზნეს-საქმიანობის განხორციელების ეკონომიკურ, საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ, სტრატეგიულ, საფინანსო, საერთაშორისო, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, კულტურულ და ეთიკური ასპექტებს, ბიზნესორგანიზაციების მართვის კომპლექსურ საკითხებს; განსაზღვრავს ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და მათთან ადაპტირების გზებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	არჩევს და პრაქტიკაში იყენებს ადეკვატურად მართვის მეცნიერებისა და მონათესავე დარგების თანამედროვე მიღწევებს, მეთოდებს, მოდელებსა და მიდგომებს; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, პრაქტიკაში იყენებს თეორიულ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროებში პრაქტიკული ხასიათის პროექტის/პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

დასკვნის უნარი	ამოიციონოს და ახდენს ბიზნესის განვითარებასთან/ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების/საფრთხეების და/ან შესაძლებლობების იდენტიფიცირება/ფორმულირებას; ანალიზებს და აფასებს ბიზნეს-გარემოს, ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებსა და შიდა ორგანიზაციულ პროცესებს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით; შეიმუშავებს სარეკომენდაციო წინადადებებს სამოქმედო გეგმებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
კომუნიკაციის უნარი	ამზადებს მოხსენებას/ესეს/პროექტს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით და ახდენს მის პრეზენტაციას; აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს, მოხსენებებს, ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც წერილობით, ისე ზეპირად, ლოგიკურად, არგუმენტირებულად და ნათლად, ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით, დაინტერესებული პირების (როგორც სპეციალისტები, ისე არასპეციალისტები) წინაშე.
სწავლის უნარი	გეგმავს სწავლის გაგრძელებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს საკუთარი ცოდნის დონის თვითშეფასების საფუძველზე.
ღირებულებები	პატივს სცემს სამოქალაქო საზოგადოებასა და ბიზნესის სფეროში მოქმედ პროფესიულ, ორგანიზაციულ, ეთიკურ, სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებს და შეუძლია მუშაობა მულტიკულტურულ, კონკურენტულ გარემოში ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დაცვით და წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმარტებული პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებად გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. სწავლება - სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერიტი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები); სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია სასწავლებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.newuni.edu.ge

სტუდენტის მიღწევების შეფასება:

სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და მოცემულია ახალი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანების შესაბამისად. სტუდენტის შეფასება ხდება ECTS სისტემით, 100 ქულის ფარგლებში.

ქულა	შეფასება	
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი

51-60	E	საკმარისი
41-50	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი გამოცდის დანიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ზემოთ მითითებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის შეფასების დაჯამების საფუძველზე:

სასწავლო კურსი: მაქს. 100 ქულა		პრაქტიკა: მაქს. 100 ქულა	
შუალედური შეფასებები:	60 ქულა:	შუალედური შეფასებები:	60 ქულა
<i>შუალედური გამოცდა</i>	<i>30 ქულა</i>	<i>მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება (მიმდინარე შეფასებები)</i>	<i>50 ქულა</i>
<i>მიმდინარე შეფასებები</i>	<i>30 ქულა</i>	<i>პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასება</i>	<i>10 ქულა</i>
დასკვნითი გამოცდა	40 ქულა	პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა	40 ქულა

სასწავლო კურსებში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. თითოეულ მათგანს აქვს განსაზღვრული საკუთარი წილი შეფასების საერთო სისტემაში (შუალედური შეფასება მაქს. 60%, ხოლო დასკვნითი - 40%) და მათი ჯამი უდრის 100 ქულას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებაში დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, თუ მან დასკვნით გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური შეფასების 50%, ანუ მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულა; შუალედური და დასკვნითი გამოცდა შეფასების სავალდებულო კომპონენტებია. სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას გამოიყენება მრავალფეროვანი კომპონენტები.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (min დადებითი შეფასება 51 ქულა). დასკვნით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე დაშვების და სტუდენტის მიღწევების შეფასების წესები წესრიგდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სილაბუსით, სადაც აღწერილია შეფასების სისტემა, მეთოდები და კრიტერიუმები.

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან:

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისიას - მოამზადოს და შრომის ბაზარს მიაწოდოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მოღვაწე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები (ბაკალავრები), რომლებსაც ექნებათ ამ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციები და თავიანთი მოღვაწეობით ხელს შეუწყობენ საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში; განახორციელოს პროფესიული საქმიანობა, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია აკადემიური ხარისხი -ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი.

პროგრამა დამსაქმებელთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკას კერძო და საჯარო სექტორში. დამსაქმებელთა ნაწილი ვალდებულია იღებს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილის დასაქმებაზე.

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.